



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N34

ქ. დუშეთი

2015 წლის 24 აპრილი

ა(ა)იპ „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანებაში“ დუშეთის მუნიციპალიტეტის დამფუძნებლად გაწევრების თაობაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, კანონით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება, მოაწეროს ხელი შესაბამის ხელშეკრულებას და განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანებაში“ (ს/კ436036610) დუშეთის მუნიციპალიტეტის დამფუძნებლად გაწევრებისთვის;

2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე;

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი